საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.03.2019

საჩივრის რეგისტრაციის #037/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ რ. შ.-ის მიმართ, /სიითი #/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ რ. შ.-სათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2019 წლის 22 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ რ. შ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის ცხოვრობს --- რაიონის სოფელ ---ში. საჩივრის ავტორის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთს ფაქტობრივად დაეუფლა შპს ”ა. წ.“ ჰესის მშენებლობის განხორციელებისთვის, რის თაობაზეც კომპანიას არ აქვს მ. მ.-ის თანხმობა და მისთვის არც რაიმე ანაზღაურება გადაუხდია.

1.2. საჩივრის ავტორმა 2014 წელს სადავო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, მიმართა ადვოკატ რ. შ.-ს, რომელიც წარმოადგენს კომპანიას სპს „ა. კ. რ. შ. და ა. 00“. საჩივრის ავტორმა 2014 წლის 31 ივლისს საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით, რ. შ.-ს ჩაურიცხა თანხა - 1 000 ლარის ოდენობით.

1.3. საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმესთან დაკავშირებით, ადვოკატ რ. შ.-ს არ განუხორციელებია არცერთი იურიდიული მოქმედება, მათ შორის არ მოიძია საქმისთვის საჭირო დოკუმენტაცია. ადვოკატმა რ. შ.-მ საჩივრის ავტორს არ დაუბრუნა მისთვის გადაცემული დოკუმენტის დედანი - რაც ეხებოდა „იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადასტურებას", რომელზედაც ხელს აწერს 6 პიროვნება. ადვოკატმა აღნიშნული დოკუმენტის მხოლოდ ასლი გადასცა საჩივრის ავტორს.

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი მიზანი იყო მოდავე მხარისგან - ჰესის მშენებელი ორგანიზაციისგან კომპენსაციის მიღება და სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტისთვის უნდა დახმარებოდა ადვოკატი რ. შ., მან კი იურიდიული მომსახურების გარეშე დატოვა და არ დაუბრუნა გადაცემული თანხა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. 2019 წლის 26 მარტს და ამავე წლის 04 ივნისს ადვოკატ რ. შ.-ს მის მიერ ადვოკატთა ასოციაციისთვის მიწოდებულ მისამართზე გაეგზავნა მ. მ.-ის საჩივარი.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1. ადვოკატი რ. შ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, ის არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2. 2019 წლის 22 მარტს მ. მ.-მ მომართა ეთიკის კომისიას საჩივრით. სადავო ქმედება ხორციელდება 2014 წლიდან დღემდე. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი საპროცესო ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ რ. შ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-7 მუხლის და მე-9 მუხლის „ზ" პუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 ეთიკის კომისიაში 2019 წლის 22 მარტს დარეგისტრირდა მ. მ.-ის საჩივარი, რომელსაც თან არ ერთვის საჩივრის ავტორის ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტი. საქმის განხილვის ეტაპზე, კომისიამ მხარეებთან ჩანიშნა განხილვის კოლეგიის სხდომა. 2019 წლის 04 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი რ. შ., რომელმაც განმარტა, რომ 2019 წლის 02 ივლისიდან შეწყვეტილი ჰქონდა ასოციაციის წევრობა მის მიერ ადვოკატთა ასოციაციისთვის მიმართული განცხადების საფუძველზე. შედეგად, დისციპლინური საქმისწარმოება შეჩერდა ადვოკატ რ. შ.-ის ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანებამდე.

5.2 2021 წლის 21 იანვარს ადვოკატი რ. შ. ხელახლა გაწევრიანდა ასოციაციაში და შესაბამისად, დისციპლინურ საქმეზე განახლდა წარმოება. საქმის გამოკვლევის მიზნით, კომისიის აპარატი რამდენჯერმე ეცადა საჩივრის ავტორთან დაკავშირებას, თუმცა საჩივარში მითითებული საკონტაქტო ნომრები 5*********; 5********* გამორთულია. აგრეთვე, საჩივარში მითითებულ მისამართზე მ. მ.-ს 2020 წლის 24 ივლისს, 2021 წლის 29 იანვარს გაეგზავნა შეტყობინებები, თუმცა გზავნილები უკან დაბრუნდა.

5.3 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის და მე-9 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, დისციპლინური კოლეგია არსებითად აღარ იხილავს საჩივარს და იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი წარმოდგენილია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო რეკვიზიტების დარღვევით.

5.4 კოლეგია განმარტავს, რომ ნების არსებობა საჩივრის წარმოებასთან დაკავშირებით უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მხოლოდ ფორმალურად შედგენილი საჩივრის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კომისიაში წარმოდგენილი საჩივარი გამოხატავს თუ არა მ. მ.-ის რეალურ ნებას, ამასთან, საჩივარს თან არ ახლავს მომჩივანის ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტი. შედეგად, კომისია მოკლებულია შესაძლებლობა მომჩივანის ნების ნამდვილობის დადგენის გარეშე იმსჯელოს საჩივარში მითითებულ პრეტენზიებზე. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შეუძლებელია ობიექტურად დადგინდეს საჩივრის ავტორის ნება წარმოდგენილი საჩივრის წარმოებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ადვოკატ რ. შ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

5.5 მ. მ.-ს შეუძლია განმეორებით მომართოს ეთიკის კომისიას საჩივრით, იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი წარმოდგენილი იქნება საჩივრის რეგისტრაციისთვის სავალდებულო მოთხოვნების შესაბამისად.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-7 მუხლით, მე-9 მუხლის “ზ” ქვეპუნქტით, მე-19–მე-20 მუხლებით, 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N037/19 ადვოკატ რ. შ.-ის მიმართ /სიითი #/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/